ცხადდება კონკურსი
ევროკომისიის მიერ დაფინასებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსასპოვებლად აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის (მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მეცნიერ თანამშრომელი) რომელებიც მიმდინარე სასწავლო წელს ჩართულები არიან პროფილური ფაკულტეტის სასწავლო პროცესში

კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა

ესპანეთი

უნივერსიტეტი	**როვირა და ვირჯილის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერებები, სამართალი, ჰუმანიტარული მეცნიერებები
მობილობის ენა	ინგლისური
ღონისძიება	პერსონალის კვირეული, 20-24 აპრილი, 2026 – „Good practices in PhD supervision“
ვებ-გვერდი	https://www.urv.cat/en/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

თურქეთი

უნივერსიტეტი	**ჩანკირი კარათექინის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სამართალი
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2025/2026 სასწავლო წელი
ვებ-გვერდი	https://www.karatekin.edu.tr/en-home
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

<u>აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა (გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ამობეჭდეთ, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია);
5. შევსებული სამუშაო გეგმა **(Mobility Agreement)** ინგლისურ ენაზე:

სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი (**Mobility-Agreement Teaching-2025);**

5.1 აკადემიური პერსონალის/ტრენინგის მიზნით მობილობის (STT- Mobility for Training) შემთხვევაში: შევსებული მობილობის ხელშეკრულება თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; (დანართი **Mobility-Agreement Treaning-2025)**;

6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე*: outgoing.staff@tsu.ge* მიმდინარე წლის 27 თებერვლის 14:00 საათამდე (თბილისის დროით).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა შეუძლებელია;
- გასაუბრების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პირად ელ-ფოსტაზე;
- გასაუბრება ჩატარდება ცოცხალ რეჟიმში

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე ***outgoing.staff@tsu.ge***